# საქართველო

№ 12 ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 30 აგვისტო 1942 წ.

## ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე

უდიდესი ისტორიული მოვლენების ხანაში ვცხოვრობთ. გერმანიის ძლევამოსილი ლაშქარი გიგანტური გამარჯვებებით მიდის წინ ბრძოლის ველზე. ფინეთის ყურიდან მოკიდებული შავ-ზღვამდე, შუა რუსეთის ველებზე, კავკასიის თოვლიან მთებში, აფრიკის ქვიშიან უდაბნოებში, ატლანტიის ოკეანის სანაპიროებზე, შორეულ ზღვებში გერმანული იარაღი, მებრძოლთა ლეგენდარული გმირობა, უძლეველი ტექნიკა ზეიმობს.

ნადგურდებიან და მარცხდებიან ყველა ფრონტზე საერთაშორისო ურიების მოციქულნი. სტალინ - ჩერჩილ - რუზველტის ყველა ცდა მთავრდება ისეთივე გამანადგურებელი შედეგით, როგორც დიეპის ახლოს მომხდარი ავანტიურა.

იბადება ახალი ევროპა. დიად გერმანიის ხალხს ძლევამოსილად მიაქვს წინ კაცობრიობის განახლების დროშა. ინგრევა, ნაცარ-მტვრად იქცევა ბოლშევიკური ჯოჯოხეთი. მის ნანგრევებზე გერმანია აშენებს ახალ ცხოვრებას კომუნისტური უღელისაგან თავისუფალ ერთათვის. დასავლეთიდან ამოდის ერთა განთავისუფლების მზე, მის ცხოველმყოფელ სხივებს მოუთმენლად ელის ქართული მამული.

გერმანიის წინსვლა მოასწავებს საქართველოს ეროვნული გადაშენებისაგან ხსნას, მრავალ ტანჯული, ონავარ მტერთაგან მრავალი გზის შევიწროებული ქართველი ერი იცხოვრებს სამართლიანად, აღადგენს სულის მთლიანობას, საკუთარ ეროვნულ სხეულს, ათასწლოვან კულტურას.

ბედნიერება გვხვდა წილად ჩვენ, ქართველ ლეგიონერთ. გერმანიის სარდლობამ უდიდესი ნდობა გამოგვიცხადა. წარსული გულწრფელი მეგობრობის საფუძველზე გერმანიის ხალხმა კვლავ გამოგვიწოდა დახმარების ხელი საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. უცხო მიწაზე ქართული ლეგიონის მებრძოლებმა კვლავ აღვმართეთ ჩვენი საყვარელი დროშა, დროშა შეღებილი ჩვენი წინაპართა წმინდა სისხლით. ამ დროშის ფრიალით აღვლორძინებთ მშობლიურ მიწას.

პასუხსაგები ამოცანა დგას ქართული ლეგიონის, თვითეული შეგნებული ქართველის წინაშე, — გავამართლოთ დიადი ნდობა, განვამტკიცოთ სამხედრო დისციპლინა, კიდევ უფრო უკეთ ვისწავლოთ იარაღის გამოყენება, მტრის განადგურება, სამხედრო ხელოვნება. თვითეულ ჩვენგანს ღრმად უნდა ახსოვდეს, რომ იგი არის არა მარტო ჯარისკაცი, არამედ მომავალი თავისუფალი ქართველი ერის სულიერი აღმზრდელი. ლეგიონერებმა უნდა უთხრან ერს სიმართლე იმ დიად სამართლიან ომზე, რომელსაც გერმანიის მეთაურობით აწარმოებენ ევროპის განათლებული ერები, განახლებულად მოაწყონ ცხოვრება, აღადგინონ სამშობლოს დიდება.

ქართული ლეგიონის მებრძოლთა პატრიოტული აღმაღლობა ერთხელ კიდევ მოწმობს იმ გარემოებას, რომ დაუშრეტელია ქართველთა ეროვნული გრძნობა, მოულენავია ჩვენი ვაჟკაცის მკლავი მამულის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ქართული მიწის შვილთაგან შეკრებილი ლეგიონი არ შეარცხვენს წინაპართა სახელოვან ადათს. როცა სამშობლო მოგვიხმობს ჩვენ კვლავ ვაჟკაცურად დავატრიალებთ ნაქებ ხმლებს, საკვირველი შეუპოვრობით შევებმით მტერს.

ჩვენი საყვარელი შვინდისფერი დროშა, რომელზედაც სისხლის სტრიქონებით სწერია ქართველი ერის მთელი ისტორია, გვავალებს ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე, გვიყვარდეს მშობელი მიწა, არ დავიშუროთ ძალა და სიცოცხლე, ვიხსნათ დამონებული მამული. დაე, კვლავ ჰყვაოდეს თავისუფალი, ლაღი, ბედნიერი საქართველო.



დონზე გადახვლით გერმანიის ჯარები მიადგნენ სტალინგრადს.

## 25 კილომეტრზე სტალინგრადიდან

გერმანიის ძლევამოსილი არმია შეუპოვრად მიდის წინ სტალინგრადისაკენ. მთავარსარდლობის უკანასკნელი ცნობის მიხედვით, გერმანიის ჯარებმა გაარღვიეს მტრის პოზიციები, დაამარცხეს საბჭოთა კავშირის ძლიერი სამხედრო ძალები და დგანან სტალინგრადის სამხრეთით 25 კილომეტრის მანძილზე.

## ჩაძირულია 30 გემი

გერმანიის ჯარის მთავარსარდლობა 31 აგვისტოს ცნობაში იუწყება, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავებმა უკანასკნელი კვირის განმავლობაში მტერს კვლავ მძიმე ზარალი მიაყენეს. ატლანტიის ოკეანეში, ყარიბის ზღვაში და აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროებზე, მიუხედავად იმისა, რომ მტერი ავიაციით და საზღვაო ძალებით ძლიერად იცავდა, თავდადებული ბრძოლებით გამცილებელი ქარავნიდან და თავდასხმებით გერმანელებმა ჩაძირეს 30 გემი 181 000 ტონისა. გარდა ამისა ტორპედო მოხვდა მტრის 5 გემს.

## გერმანელთა გმირული ბრძოლები კავკასიის მხარეში

კავკასიიდან ვოლგის მოხლამდე ომის გადამწყვეტი ბრძოლებია. სასოწარკვეთილი ბოლშევიკები ამაოდ ცდილობენ შეაჩერონ გერმანელები. სტალინის ბრძანებით იძულებულნი, — არც ერთი ნაბიჯი უკან, — საბჭოთა ჯარები იღწვიან გზა გადაულობონ გერმანელებს შავი ზღვის ისეთ მნიშვნელოვან ნავთსადგურებისაკენ, როგორიცაა ანაპა, ნოვოროსისკი და ტუაპსე. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლას ერთობ აძნელებს ტროპიკული სიცხე, კოკისპირული წვიმები, გაუვალი ტყეები და მთები, გერმანიისა და რუმინეთის ჯარებმა მაინც შესძლეს აელოთ ქალაქები კურჩანსკაია, კრიმსკაია და ყუბანის ქვემოდინთან სამხრეთის მიმართულებით წასულიყვნენ.

ამ ოპერაციების დროს გერმანიის თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ბოლშევიკების ჯარებით გაჭედილ უკანდასახევ გზებსა და ნავთსადგურებს. ჩაძირულ იქნა: 1 გამანადგურებელი, 22 სანაპირო, 1 სატრანსპორტო გემი 4000 ტონისა, 12 სავაჭრო გემი, რომელთა წყალწყვა 16 700 ტონაა, და 3 მსუბუქი გემი. დაზიანდა: 2 გამანადგურებელი, 8 სანაპირო, 15 სატრანსპორტო, 8 ტყვია-წამლის ნავი და 1 ნავთის საზიდი გემი.

## საალყო წესები ირანში

თეირანიდან და სტამბოლიდან მიღებული ცნობებით ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ ადგილებში გამოცხადებულია სამხედრო, საალყო წესები. ქალაქების ქუჩებზე, მოედნებზე, განუწყვეტლივ დადიან მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცები.

სოფლადაც მიღებულია მკაცრი სამხედრო ზომები, რათა დაიცვან სამხედრო მასალის გადამზიდი ტრანსპორტი საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ირანელ მცხოვრებლებისაგან.

საბჭოთა კავშირის ჯარისკაცები, რომლებიც განაწილებულნი არიან ქალაქებისა და სოფლების სამეთვალყუროდ, დადიან საბარგო ავტო-მანქანებით ქუჩებში და „საეჭვო" პირებს უმალვე იჭერიან.

## შესანიშნავი თარიღი

**35 წლის წინად, 1907 წლის 30 აგვისტოს, ქართველი ერისა და კულტურის დაუძინებელმა მტრებმა ვერაგულად მოჰკლეს დიდი ილია. ავაზაკის ბინძური ხელით დაეცა ქართული პოეზიის ცხოველმყოფელი მზე, საქართველომ დაჰკარგა ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი, ენერგია, ცხოვრება და შემოქმედება შეალია ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლას, მამულის აყვავებას.**

**საქართველოს „ფიქრთა და აზრთა მპყრობელი" ილია ნახევარი საუკუნე მეთაურობდა ჩვენი ქარიშხალიანს, ფაფარაყრილ ცხოვრებას. არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი კუნჭული, ილიას თავისი მადლიანი თვალი არ მოევლო, მგზნებარე სიტყვა არ ეთქვა. ილიამ გაამდიდრა ქართული პოეზია უძვირფასესი საგანძურით, უმღეროდა ხალხს სამშობლოსადმი წმინდა სიყვარულის შთამაგონებელ ჰანგებს, უღვივებდა ერს მებრძოლ სულს. იგი მეთაურობდა გაზეთს, ჟურნალს, სკოლას, თეატრს, მუშაობდა სახელმწიფო სათათბიროში, ხელმძღვანელობდა საადგილ-მამულო ბანკს.**

**დიდია ილია ჭავჭავაძის ღვაწლი მშობელი ერისადმი. თვითეული ქართველი ღრმად ინახავს გულში მამულის ამ საამაყო შვილის უანგარო სიყვარულს.**

**35 წლის წინად წიწამურის ტყის ახლოს დაიღვარა ილიას წმინდა სისხლი, ილია მოჰკლეს საქართველოს მტრებმა, მაგრამ ცოცხლობს და მარადჟამს ჩაუქრობ კელაპტრად იკაშკაშებს ის დიადი საქმე, რომელსაც ქვა-საძირკველი ჩაუყარა მამულის სახელოვანმა შვილმა.**

**ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი მიძღვნილი იქნება ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.**

# ბრძოლა სტალინგრადისათვის

გერმანიის ძლევამოსილი ჯარები თავდადებით იბრძვიან და მიიწევენ წინ სტალინგრადისაკენ. მას შემდეგ რაც ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა შესძლეს გაერღვიათ და გაენადგურებიათ ბოლშევიკების ფრონტი კალაჩის დასავლეთით, მტერი კალაჩის ჩრდილოეთით, მდინარე დონის აღმოსავლეთით იქნა გადასროლილი. მარტო ორი დღის განმავლობაში გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს 13 ათასი ჯარისკაცი, წამოიღეს და გაანადგურეს 47 ჯავშნოსანი, 252 ქვემეხი.

სტალინგრადისათვის ბრძოლაში გერმანიის საჰაერო ძალები აღწევენ ბრწყინვალე შედეგებს. თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდენ მტერს მახლობელ ზურგში, ანადგურებენ ტანკებს, საბარგო მატარებლებს, რკინიგზის სადგურებს, კვანძებს

გერმანიის ჯარების ძლევამოსილი იერიში სტალინგრადისათვის ხასიათდება ისეთივე სისწრაფითა და რკინისებური განუხრელობით, როგორიც იყო იერიშები ყუბანის ველებზე, კავკასიის მთიან ადგილებში. ხარკოვში განადგურების შემდეგ წითელ მარშალს ტიმოშენკოს დღემდე ვერ შესწევს უნარი მოიკრიფო ძალა, პასუხი გასცეს მტერს. წითელ არმიის წინააღმდეგობა ვითარდებ უგეგმოდ, უშედეგოდ, ატარებს კერძო ხასიათს.

## ინგლისის განადგურება ხმელთა-შუა ზღვაში

ინგლისი შეეცადა დახმარებოდა შევიწროებულ ჯარს ეგვიპტეში იარაღით, სამხედრო მასალითა და ხალხით. გიბრალტარიდან ალექსანდრიაში უნდა მისულიყო 21 გემისაგან შემდგარი ქარავანი, რომელსაც იცავდნენ სამხედრო გემები. ამით ინგლისი ფიქრობდა დაიწყო შეტევითი მოძრაობა ეგვიპტეში, უკუეგდო გენერალი რომმელი აფრიკის უდაბნოებში.

გერმანიის მზვერავმა თვითმფრინავებმა შეამჩნიეს ინგლისის გემთა ქარავანი და გაჩაღეს გამანადგურებელი ბრძოლა. რომლის დროსაც შეთანხმებულად მოქმედობდნენ გერმანიის საჰაერო და საზღვაო ძალები. დღეების განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლები. გერმანიის საჰაერო და საზღვაო შენაერთების თავგანწირული შეტევების შედეგად მტერს აურაცხელი ზარალი ეძლეოდა. 21 გემიდან დაიღუპა 15, 180 ათასი ბრუტო ტონისა. გარდა ამისა ჩაძირულ იქმნა 1 თვითმფრინავთსადგომი გემი, 3 კრეისერი და 1 გამანადგურებელი. ძლიერ დაზიანდა თვითმფრინავების სადგომი 2 გემი, 3 კრეისერი და 3 გამანადგურებელი.

გერმანული ძალების ეს გამარჯვება არის ახალი საამაყო ფურცელი ამ ომის ისტორიაში; მან დაამტკიცა, რომ ინგლისმა ხმელთა-შუა ზღვაში თავისი როლი უკვე გაითამაშა.

## ქართული ერთსულოვნება

ბელგიის ქართული ახალშენის 30 წევრმა გერმანიის ჯარს მადლობის ნიშნად გადასცა სრულიად ახალი, მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი გამოცდილებით აგებული „წითელი ჯვრის" ავტო-მანქანა. გადაცემა მოხდა საზეიმო განწყობილებაში. გერმანიის ჯარის წარმომადგენლებმა პატივისცემით აღნიშნეს ეს ფაქტი. მათ განაცხადეს, რომ ქართველების შეხედულება რომელთაც ავტო-მანქანა უძღვნეს, სავებით შეეფერება მათ თანამემამულეთა მისწრაფებას სამშობლოსაკენ, რომელთა უმრავლესობა გერმანელ მეგობრებთან ერთად მხარი-მხარ იბრძვიან ბოლშევიკების წინააღმდეგ.



დიეპის ავანტიურის უკანასკნელი აქტი

**ნახატი ლეგ. ი. ტ.**

## ...და ესეც „მეორე ფრონტი!"

სამხრეთის ფრონტზე გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ თავზარდაცემულმა სტალინმა ინგლისისა და ამერიკის მთავრობებს წაუყენა ულტიმატუმი, — დაუყოვნებლივ გაეხსნათ მეორე ფრონტი. აგვისტოს დაწყისში ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, ურთულესი მდგომარეობის გამო, სასწრაფოდ ქაირ-თეირანზე გავლით გაფრინდა მოსკოვს. 12 აგვისტოს მან რუზველტის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ერთად ინახულა სტალინი ჩერჩილის სიტყვიერი ხრიკები მეორე ფრონტის გახსნის სიძნელეთა შესახებ სტალინმა არ სცნო. კატასტროფული სტალინმა არ სცნო.

ჩერჩილს აღარ ჰქონდა სხვა გამოსავალი. გასცა ბრძანება სადესანტო ოპერაციათა გასახსნელად საფრანგეთის ნაპირებზე. 19 აგვისტოს ინგლისელებმა გადმოსხეს დესანტი საფრანგეთის ტერიტორიაზე ქალაქ დიეპის ახლოს.

გერმანიის უძლეველმა სანაპირო არტილერიამ 9 საათის განმავლობაში მოსპო „მეორე ფრონტი" და მტერი გაანადგურა. ჩერჩილის ცდა დამთავრდა მეტად მწარე შედეგით: დაჭრილთა და მოკლულთა რაოდენობაზე რომ არაფერი ვსთქვათ, მარტო ტყვედ ჩავარდა 2095 კაცი, განადგურდა 10 სამხედრო გემი, 8 სატრანსპორტო თბომავალი, 131 თვითმფრინავი, ათეულობით ტანკი.

გერმანიის სანაპირო დაცვამ—არტილერიამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო და მსოფლიოს დაანახვა თვისი უძლეველობა.

## კავკასიის ხალხთა მტრები და მოყვარენი

თვითეული ხალხისათვის მნიშვნელობა აქვს,იცოდეს მტერი და მოყვარე. განსაკუთრებით საჭიროა ეს კავკასიის ხალხთათვის, რომელნიც იბრძოდნენ და იბრძვიან თავისუფლებისათვის იმის ნათელსაყოფად თუ ვინ არიან კავკასიის მტრები და მეგობრები, გადავხედოთ მათ ისტორიულ წარსულს, პირველი მსოფლიო ომის პერიოდს, როცა კავკასიის ხალხი იარაღით ხელში აღსდგა მჩაგვრელთა წინააღმდეგ თავისუფლებისათვის. ეს იყო 1917—1920 წლებში.

კავკასიის ხალხთა მეზობლად მაშინ თეთრი გენერლების დენიკინისა და ალექსეევის არმიები იდგნენ. მათ მიზანს შეადგენდა ბოლშევიკების განადგურების შემდეგ მეფის „წმინდა ერთიანი რუსეთის" აღდგენა. ამიტომ იყო, რომ დენიკინი დაუყონებლივ გამოვიდა კავკასიის ხალხთათავისუფლებისათვის ბრძოლის წინააღმდეგ. ის კავკასიის ერთა აშკარა მტერი იყო.

განსაკუთრებით მტრულად მოეკიდა დენიკინი საქართველოს.1918 წლის სექტემბერში ქ. კრასნოდარში ჩატარებულ კონფერენციაზე ქართველები ცდილობდნენ დაერწმუნებიათ დენიკინი, რომ პირველ ყოვლისა აუცილებელი იყო ბოლშევიკების მოსპობა, ხოლო პირადი უთანხმოებანი შემდეგისათვის გადაედო. დენიკინი არ დასთანხმდა.

ტუაპსეს აღების შემდეგ დადებული იქნა ხელშეკრულება, რომლითაც დენიკინმა განაცხადა, რომ არა აქვს მტრული განზრახვანი საქართველოს მიმართ, მაგრამ არ გაუვლია დიდ დროს ხელშეკრულების შემდეგ, 1919 წლის 5—6 თებერვალს დენიკინი თავს დაესხა ნავთსადგურ სოჩას და მოითხოვა ჩაებარებინათ ქალაქი ბათომი. ასე მოექცა დენიკინი აზერბეიჯანსაც. 1919 წლის 16 ივლისს აზერბეიჯანმა და საქართველომ დასდეს ხელშეკრულება, რომლის მიზანი იყო ებრძოლათ დენიკინის ავაზაკური ზრახვათა წინააღმდეგ. დენიკინი ამ ფაქტის წინაშე მდგარი იძულებული გახდა ივლისის ბოლოს ეცნო სადემარკაციო ხაზი. მაგრამ სულ მალე დაარღვია იგი. შეეცადა ოკუპაცია ექმნა დერბენტისათვის, ჩრდილო აზერბეიჯანისათვის. როგორც ვხედავთ, თეთრი გენერალი დენიკინი „წმინდა, ერთიანი რუსეთის" წარმომადგენელი დაუძინებელი მტერი იყო კავკასიის ერთა განთავისუფლებისა.

ინგლისი ცდილობდა ხელში ჩაეგდო აზერბეიჯანი, ბაქოს ნავთი. იგი მხარს უჭერდა დენიკინსა და სხვა თეთრ გენერლებს, რომლებმაც აღუთქვეს მას ებრძოლათ გერმანიის წინააღმდეგ. ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდების მიზნით ინგლისი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ძლიერი დამოუკიდებელი აზერბეიჯანის სახელმწიფოს შექმნას. ინგლისი ამხედრებდა სომხებს აზერბეიჯანელთა წინააღმდეგ, რათა როგორმე გმოეთხარა ძირი ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის.

ბოლშევიკების დამოკიდებულება კავკასიის ერთა თავისუფლებისადმი ყველასათვის ცხადია.

ბოლშევიკებმა 1919 წლის დასაწყის'ში დაიპყრეს ჩრდილო - კავკასია, 1920 წ. აპრილში შეიჭრენ ბაქოში და დაიპყრეს აზერბეიჯანი, ამავე წლის ნოემბერში გამოაცხადეს სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკა და ბოლოს 1921 წლის თებერვალში გადავიდენ საქართველოს დამოუკიდებლობის დასანგრევად. ბრძოლა გაგრძელდა 6 კვირას. საქართველო დამარცხდა.

ყველა ის, ვინც ცხოვრობდა „საბჭოთა სამოთხეში",კარგად იცის თუ როგორი სიმკაცრით სდევნიდა საბჭოთა ხელისუფლება ნაციონალური თავისუფლებისათვის მებრძოლთ.

ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც გამოვიდა კავკასიის ხალხთა თავისუფლების დასცავად, იყო გერმანია. გერმანიასა და კავკასიას ჰყავდათ საერთო მტერი — ინგლისი. გერმანიამ საქართველოში გაგზავნა სამხედრო ნაწილები, რომლებიც იცავდნენ დარიალს. იგი აწვდიდა იარაღს საქართველოს და აზერბეიჯანს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში; მისი ოფიცრები ეხმარებოდნენ საქართველოს ახალი ნაციონალური არმიის შექმნაში.

გერმანელები და ქართველები ამ დროის მანძილზე დიპლომატიურ, სამხედრო და სამეურნეო ასპარეზზე კარგად გაეცნენ ერთმანეთს. ამ საფუძველზე აღმოცენდა გულწრფელი მეგობრული დამოკიდებულება ორ ხალხთა შორის. ასეთივე გულწრფელი იყო გერმანელთა მეგობრობა აზერბეიჯანისა და კავკასიის სხვა ერთა მიმართ.

კავკასიის ხალხი იმყოფება ნაციონალური განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. როგორ უყურებენ დიდი სახელმწიფოები ამ ბრძოლას? ბოლშევიკების დამოკიდებულება ცხადია; ისინი ცდილობენ ჩაშალონ ნაციონალური განთავისუფლების ყველა ცდა. ინგლისელები ბოლშევიკების თანამებრძოლნი არიან. ისინი ერთად აწარმოებენ ბრძოლას დიდი გერმანიის წინააღმდეგ. ინგლისისაგან კავკასიის ერები არაფერს არ უნდა მოელოდნენ გარდა დამონებისა.

ძველმა, გამოცდილმა მეგობრობამ გერმანიისა და კავკასიის ხალხთა შორის ახლანდელ ომში ნათელ ბრწყინვალე გამოხატულება. გერმანიის ძლევამოსილ არმიასთან ერთად იბრძვიან კავკასიის ერთა ლეგიონები.ამ დიადი ბრძოლით მოიპოვებენ ისინი ნაციონალურ თავისუფლებას. გამარჯვება ჩვენია. ლეგიონერები ამაყნი და მადლიერნი არიან იმით, რომ ისინი ჯარისკაცის მუნდირზე ატარებენ გამარჯვების იმავე ნიშანს,რომელსაც ატარებენ გერმანელი ჯარისკაცები, — სიმბოლოს გამარჯვებისას, ახალი წესრიგისას, თავისუფლებისას, სამართლიანობისას ყველა ხალხთათვის.



# გულდაი



ლ ე გ . ლ . ლ ი ნ ი.

1.

შემოდგომის ღამე იყო.

საშინლად წვიმდა. ცივი, სქელი ნისლი დასწოლოდა სოფელს.

არშის კლდის უბეში კიაფობდა ობოლი შუქი.

ბალიაურთ ქოხში იწვოდა კვარი. კერის პირას ორნი ისხდნენ.

ძილისპირმა მოატანა, აშარი მოძლავრდა. ქარმა შემოჰგლიჯა სარკმელი. კვარი ჩაქრა, წყვდიადში დაირხა ფოლადის წკარუნი.

ქრუანტელმა უკბინა გულდაის; ხელი დაავლო. მუგუზალს ურდული ნახა, მერე გაჰყვა კედელს ჩალის ახლოს მიწაზე. ფრანგული ეგდო.

—შვილავ... დაიღრიალა გულდაიმ და უაზროდ ჩასჭიდა ხელი ცივ ფოლადს. თენგაის ფრანგული დაეცა მიწას, თენგაის მკლავი მოილუნვის.

—შვილავ!.. შვილავ!.. ყრუდ გაიმეორა დედამ. ცოლ-ქმარი შიშმა შეიპყრო. ავს უქადდა ოჯახს ფრანგულის ჩამოვარდნა.

თენგაი მარიამობის ღამეს მოსწყვიტეს კერას. ცხორი დააობლეს, ცირის გული დაჰკოდეს. მოაშორეს სოფელს მოჯირითე ვაჟკაცი. საბრალო მამა შვილს ყაზბეგამდე ჩაჰყვა. ეძნელებოდა იმას თენგაის მოშორება. გამოთხოვებისას გულდაიმ შვილს ახალუხის ჯიბეში ჩაუდო ერთი მუჭა მიწა და ემუდარა მამა შვილს, თავის სისხლს...

—გიყვარდის შვილავ შენი მიწაი, მტერ მოგეკლის, გფარვიდის წმინდა გივარგი. ჭალარა გულდაიმ ორი ობოლი ცრემლი გადმოაგდო. თენგაი ანგარიშმიუცემლად იდგა, იგი მაშინ გამოერკვა, როცა ლოყაზე შეეხო მამის სქელი წვერი.

—ცირაი შემინახვის... ცხორ შემინახვიის—იყო თენგაის უკანასკნელი სიტყვები. ავტო-მანქანა დაიძრა დარიალისკენ.

ხევის შვილს თენგაის, უკან რჩებოდა ლაღი ოცნებანი ზურმუხტოვან ახოებზე, საყვარელ ცხვრის ფარაზე. ნანობდა თენგაი: ცირის სქელ ნაწნავებში წას. ვერ გაეხვია მის მარწყვისებრ სველ ტუჩებს ვერ დაეკონა, ალგზნებული გული გოგოის მკერდს ვერ შეაწება. მწარეა განცდა...

ყველაფერი წარმოუდგა თვალწინ გულდაის. დედამ ავი სიზმარი ნახა და ახლა ფრანგული დაეცა მიწას. ვინ იცის სად დაგდებინეს თავი მის თენგაის. იქნებ ყვავ-ყორანი ჰკორტნის მის ვაჟკაც მკერდს. არა,თენგაის ტყვია არ მოჰკლავდა--ფიქრობს დედა.

გარეთ წვიმს...

წვიმს ცოლ-ქმარის გულშიც.

2.

ჯახანი გაისმა ურდულზე. არ ჰგავდა იგი ქარის მოწყდომას, არც ზვავის ხუილს. ქარის სისინში ძახილი ისმოდა.

—გულდავ!..გულდავ!..გულდაი შეკრთა.ავ სულის მეტ ვინ უნდა იყოს ამ დელგამ ღამეში,ახლა ნადირიც ბუნაგში წევს,—წუთით გაიფიქრა იმან და კარებთან შესდგა.

არაბულაი ვარ, არაბულაი—გაისმა ხმა გარედან.

—არაბულაი!..—გაიმეორა გულდაიმ. კარმა დაიჭრიალა, არაბულა შემოიჭრა ქოხში.

—რა ამბავ მოგვიტან—ეკითხებოდა იმას გულდაი. არაბულას ამოსვლა იაფად არ უღირდა სოფელს:მაშინ ავაზაკს ეძებდნენ, ბეგარას ითხოვდნენ, გზაზე უნდა ემუშავნათ, მთავრობის ტყე ეჭრათ, მატყლი და ხორცი ჩაეზიდნათ,თემის საქმე ეკეთებინათ, მაგრამ ბალიაურებმა ყველაფერი ეს მოისტუმრეს.

არაბულამ ხელი გაათბო, ნაბადი გადასწია, ახალუხიდან ამოიღო ქაღალდის ნაგლეჯი, გულდაი აენთო, თრთოდა, ქაღალდს მუგუზალი დაანათეს.

—ყაზბეგჩი გიბარებენ—წარმოსთქვა არაბულამ ცოტა ხნის შემდეგ.

—ყაზბეგჩი?!—არეულად-წამოიძახა გულდაიმ,—მერედა რაისთვი, რაიშ ეცოდი? ბატკნები მოგიყვათ, მარტყლი წამართვით, მთელი ზაფხული გზაჩი ვეგდი, შვილაი ომჩი ჩამიკარგეთ.

—თავკაცმა ინდომა, სტალინმა ბრძანა ხევჩი კაც შეაჭურეთაო, მტერ მოგვიდის, სალდათობაი გვეღის...

—სალდათობაი,.. სალდათობაი მერე და ვის მიწაზე!..რუსის მიწაი დასველდის მოხევის სისხლით? მერე ოჯახი, ცხორი? ნაჭერ-ნაჭერ ამბობდა გულდაი, მისი თვალები შურის ცეცხლით მისჩერებოდნენ არაბულას, ძარღვებში უჩქეფდა ამბოხი სისხლი.

—დედის ძუძუი გაგიშავდისე... ჯალაბ დაგემხვის—დაიღრიალა გულდაიმ და ხელი ჩაავლო არაარაბულას ხანჯალს,მერე რაღაც მოაგონდა, ნაფიცნი იყვნენ, ხახმატობისას გაცვალეს სისხლი, თავი შეიკავა.

არაბულაი სდუმდა, კვარის შუქზე ნაბდის ბეწვთაგან ჩამოდიოდა წყალი, სტიროდნენ ბნელში ვერცხლისფერი წვეთები.

გულდაის გაშმაგებამ თავზარი დასცა დიაცს, იგი ჩალაზე დაემხო, ქვითინებდა. არაბულამ ქოხის კარი მიიხურა, ცხენს მოახტა. კაცი და ცხენი წყვდიადმა გადაყლაპა.

3.

ნაბრძოლევი ბუნება დაამდა.

ხევები დაწყნარდნენ.

არ ეძინა მოხევე გულდაის. მისი გული ხმაურობდა.



—სისხლი!.. სისხლი!.. ჩურჩულებდნენ გულდაის სქელი ტუჩები, ფართოვდებოდნენ თვალის გუგანი.

სკივრი გახსნა. ადათს არ ულალატა. მამისეული თოფი ამოიღო, ამოაძრო ქისტებთან ბრძოლაში ნაქები ფრანგული. ნაბადი მონახა,მერეკერასთან დაიჩ ოქა...

—ქალავ, შემინდის მე უბუდური!—წარმოსთქვა იმან და გადასწერა პირჯვარი ოჯახს, ურდული გადასწია, ფარეხში ჩაირბინა, ეამბორა ცხვარს, ჩაიკრა ნაცარა ვერძი, გაალეიძა ძაღლი და რაღაც დაუბარა... ფეხაკრეფით მოშორდა ფა რეხს, ხანჯლის ყუით ჩამოტეხა ქვა, ნატეხი უბეში ჩაიდო.

ბილიკზე მიდიოდა ლანდი. იგი შედგა, მიმოავლო თვალი საჯიხვეში გამოკვეთილ კარმიდამოს.

შორს, მთაში გაჰკიოდა ბუი.

გულდაის ქოხში კერაზე, უკანასკნელი მორი იწვოდა...

დილამ ღამე კლდეზე გადააგორა.

ბალიაურთ ოჯახში მწუხრი იწვა. გულდაი აღარ იყო. უპატრონო ფარა ბღაოდა.

ბალიაური ჰიუხებს მიჰყვებოდა. აჰა, მიაღწია იმან გორმაღალს აქედან ხელის გულივით მოსჩანს არშა, თერგი, უფსკრულში ჩაჭანებული მთები, აქაფებული რძის ფერი ჩანჩქერები.

მიდის გულდაი და მისდევს გაბმული ფიქრი.

—სისხლი!.. სისხლი!.. —თითქოს იდუმალად, შთამაგონებელის ძალით ჩასჩურჩულებს იმას ვილაც. თოფი მოიმარჯვა, უკან მოიხედა. უკან მთები იდგნენ ნისლის ყაბალახით თავწაკრულნი.

მაღალია არხოტის ციხე. არწივის ბუდესავით ჰკიდია იგი გერგეთის მთაში. საუკუნეთა მანძილზე ყოფილა იგი ხევის დიდების გამომსახველი. მრავალი სისხლის მოწამეა ციხე. აქ აკაფეს არშელებმა ურჯული ქისტები, აქ დაუბნელეს მზე ყაჩაღ ოსებს,აქ აკაფეს ლუდუშაურებმა რუსნი...1929 წელს კოლმეურნეობათა წინააღმდეგ ამხედრებული ხევი ციხეში გაიხიზნა, ციხის გალავანთან ჩაწყდნენ ხევის ვაჟკაცები, მტერს თავი არ მოუხარეს. ..

ციხის კარი ღია იყო მოხევისათვის.

გულდაიმ მაღწიაციხეს. ზღუდეზე გადაბობღდა. თოფის კონდახი შემოჰკრა ჯაჭვს,

სიბნელეში თეთრმა წვერმა გაანათა.

მოძღვარი შეეგება გულდაის. იცნო, თოფი ჩამოართვა, გამოქვაბულში შევიდნენ. გულდაი ქვის ჯვართან მივიდა...

—დაიფარევ უფალოვ მთის შვილაი—თქვა მოძღვარმა. —მოხევემ შეჰფიცა ჯვარს, ნახევრამდე ამოსწია ხანჯალი...

გულდაიმ ნაბადი მოიძრო, კუნძზე ჩამოჯდა. კერას ხმელი ფიჩხი დააყარეს, ჩალამებულ კლდეში ციმციმებდნენ ჩინჩხლები... ფიჩხი ტკაცანებდა, ბალიაური ჰყვებოდა ამბავს.

4.

გულდაის მთაში გასვლამ სოფელი ააბორგა. შეშფოთდა ხევი, დაირღვა იდუმალი ცხოვრება.

ლუდუშაურებმა უარი თქვეს სალდათობაზე, ბექაურებმა ცდოს მთას მისცეს თავი. სნოში თავკაცები მოჰკლეს, სა ბჭოს ცეცხლი გაუჩინეს,

ამბოხდა მთა.

შინსახკომელთა ბანდას გასაქანი მიეცა. სოფლებიდან დაიწყეს ცხვრის გარეკვა. მიჰყავდათ ცხენები, ჰკლავდნენ დეკეულებს, ართმევდნენ ყველს, ერბოს, მატყლს. მთის დასამშვიდებლად რუსის ჯარი ამოგზავნეს ხევში.

მეამბოხე სოფლები დაარბიეთ, ქოხებს ცეცხლი, ავაზაკებს ტყვია, ცხვარი წაართვით... ყველა სეჭვო შეიპყარით, იყო ნაბრძანები.

სიკვდილის აჩრდილი ადგა მთას...

გუშინ ლარსში შინსახკომელებმა მთელი ხევის ცხვარს მოუყარეს თავი... ღამით დაეცნენ თავს მათ არშელი ბადაურები, სნოელი ბაზალები, რუსებს ყელი დასჭრეს, ცხვარი ტყეს მისცეს...

მთა ვაშკაცობს... მტერს ებრძვის...

არაშის წყაროსთან ჩოჩქოლია...

მოხუცებს მოუყრიათ თავი. საუბრობენ, თამბაქოს სწევენ...

ხევში ცხენი შემოჭენდა...

სოფელი მოულოდნელმა ხმამ შეარხია...

რამდენჯერმე შემოჰკრეს ზარს...

სოფელში ქოხები ჩაჰკეტეს, პირუტყვი გადამალეს, ძაღლები აუშვეს. იმარაგებდნენ თოფებს, ეძებდნენ ხანჯლებს...

—რუს მოვიდის!..

— რუს მოვიდის!.. გვრგვინავდა ხმა,

ცხენოსნები მიადგნენ ბალიაურთ უბანს.

ხევისთავმა რაღაც ანიშნა ერთ ცხენოსანთაგანს.

ხუთნი შეიჭრნენ გულდაის ეზოში.რუსებმა ცხენიდან ჩამოსვლა ვერ მოასწრეს. ბალიაურების ძაღლი ვეფხვივით გაექანა ცხენებისაკენ.

—ჰაჰ!.. იქუხა რევოლვერმა. ძაღლი აღარ იყო.

გულდაის მეუღლე თავზარდაცემული გამოვარდა გარეთ, რუსებს რო შეხედა, ქოხში შევარდა, ურდული გადარაზა. დიაცი თრთოდა.

მეზობელ ჰიუხიდან გაისმა თოფის სროლა...ყორე გადაინგრა. ჯმუხა ჰინჭარაული შეაკვდა ონავარ რუსებს...

ლაწა-ლუწი გაჰქონდა გულდაის კარებს. რუსები შევარდნენ ქოხში.

დიაცი კედელს აკვროდა... ცახცახებდა.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

## ა რ წ ი ვ ი

ცას გაჰყურებდა არწივი
მარტოდ შთენილი ეული,
გახდა ყვავ-ყორანთ არჩივი
ერთ დროს ვაჟკაცი რჩეული.

გარს ერტყა ეკლის მავთული
მისივე სისხლით ნალები,
თითქოს ბაცკაცა ან თული
იყოს მთის მეფე ნაქები.

ცას გაჰყურებდა არწივი
ყვავთ ყრანტალს არად აგდებდა,
მხოლოდ დრო და დრო სისხლნარევ
ობოლ ცრემლს გადმოაგდებდა.

ნეტა რას დარდობს საწყალი,
ან რა ფიქრებში ვარდება,
ხომ არ მოსწყურდა მთის წყალი
ან ცაში განავარდება?

ჯიხვთა ნახტომის დანახვა,
ხევის ნიავის შრიალი,
ზვავთა ზათქი და ხუილი,
კლდოვან ჩანჩქერთა ჩხრიალი!

იქნებ სხვისაი ჯავრი სჭირს,
გული არ უძლებს ნატყვევი,
რომ დაუყრია მტერთათვის
თვისი ბუდე და ბარტყები?!

ნუ გეშინია არწივო,
მხნედ იყავ, შენი კვნესა მე!
იქნებ მტერს თავზე აწვიმოს,
რაც იტანჯე და იწამე.

იცოდე, არ მოკვდებიან
შენი აზრი და მიზანი,
ისევაც დაიზრდებიან
ბარტყები არწივოსანნი
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანნი!

ლეგ. ა. ხვანი.

## იალბუზი დაპყრობილია

გერმანიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ 29 აგვისტოს დილით გერმანიის სამთო ჯარის ჯგუფი ავიდა მწვერვალ იალბუზზე და 5622 მეტრის სიმაღლეზე აღმართა გერმანიის სამხედრო დროშა.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ, — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲗᲘ:
**გერმანიის სამთო ჯარის ნაწილები ყუბანში**

## ლეგიონთა სპორტული შეჯიბრება

ამ. რამდენიმე ხნის წინად ქალაქ რ-ში ჩატარდა ლეგიონთა სპორტული შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობდნენ თურქმენი, სომეხი, ქართველი და აზერბეიჯანელი ლეგიონერნი. შეჯიბრი მიმდინარეობდა სამხედრო საქმეში, თავისუფალ ვარჯიშში, ფეხბურთში, ხტომაში, მძლეოსნობაში, თვითშემოქმედებაში. ფეხბურთში ჩატარებულ ორივე მატჩიდან გამარჯვებული გამოვიდა ქართველთა გუნდი „ელვა".

სიგრძეზე ხტომაში პირველი ადგილი დაიჭირა ლეგიონერმა შ. შ-მ, რომელიც 5,57 მეტრზე გადახტა გამორჩეულით. ქართველთა ლეგიონიდან სირბილში თავი ისახელა შ. ჟ-მა. მან 100 მეტრი დაჰფარა 12 წამში. შეჯიბრების მეორე დღეს ჩატარდა სრული სამხედრო საჭურველით ლაშქრობა 25 კილომეტრის მანძილზე. ლაშქრობაში მონაწილეობდა 30 ქართველი ლეგიონერი. მათ მანძილი გაიარეს 2,4 საათში. შეჯიბრი ჩატარდა აგრეთვე სროლაშიაც; ქართულმა ლეგიონმა დაადასტურა სროლის საუკეთესო ტექნიკა და მოიპოვა პირველობა 200 მეტრზე სროლაში.

შეჯიბრების დასასრულს გაიმართა თვითშემოქმედ გუნდთა გამოსვლა. ქართული ლეგიონის მებრძოლთა გუნდმა ოსტატურად შეასრულა ქართული ნაციონალური სიმღერები „სულიკო", „ნანინა", სალაშქრო სიმღერა „როცა მტერი თავს გვესხმის" და სხვა. შესრულებულ იქნა ქართული „ლეკური" მთიულური ცეკვა, „დავლური".

შეჯიბრებამ ლეგიონერთა შორის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

ლეგ. კ. ნ.

## ირანი და საბჭოთა კავშირი

ანკარიდან იუწყებიან, რომ ირანის მთავრობასა და თეირანის სრულუფლებიან წარმომადგენელს შორის სწარმოებდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისათვის ირანის მთელი კასპიის ზღვის ფლოტის გადაცემის შესახებ. საბჭოთა კავშირი ირანისაგან მოითხოვს ყველა გემს და ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ისინი საჭირონი არიან ირანის თევზჭერისათვის, მიმოსვლის საქმისათვის.

## ძველმანების შეგროვება ინგლისში

ლონდონის საინფორმაციო ბიურო მოუწოდებს ინგლისელ ხალხს, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შეჰკრიბონ ძველი ქაღალდი, ჩვრები, ლითონის ნამტვრები. ბიურო აგრეთვე მოაგონებს ხალხს, რომ მოსახლეობამ ეს ნივთები უნდა მოაგროვოს შინ, რომელთ შემოტანა ინგლისის ფლოტს ძლიერ ძვირი უჯდება.

## ᲪᲣᲓᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

უკრაინის დაკარგვით ბოლშევიკებმა დაჰკარგეს პურის მოსავლის საგრძნობი ნაწილი. ისინი იძულებულნი შეიქმნენ ეძებნათ ახალი პურის ბეღელი: ალტაის, ტრეცვალოვის, ჩელიაბინსკის და ომსკის ოლქებში. ცდა უშედეგო აღმოჩნდა. სუსხიანმა ამინდებმა და ნიადაგის უვარგისობამ მოსავალი საგრძნობლად შეამცირა.

საბჭოთა პრესა და რადიო ადასტურებს, რომ ხორბლის მეორე ბეღელმა — ციმბირმაც იმედი ვერ გაამართლა. სიმშილობა საჭოთა კავშირში დღითიდღე იზრდება მოსახლეობის სიმშილისაგან გადარჩენა შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკების ულლისაგან განთავისუფლებით.

## ო ჯ ა ხ ი

ოჯახი ერისა და სახელმწიფოს სიძლიერის ქვაკუთხედია. ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში, სადაც ცხოვრება მოწყობილია ახალ საფუძველზე, ოჯახი სიყვარულით, პატივისცემით სარგებლობს. ნაციონალ - სოციალისტების მოსვლამ ქვეყნის მმართველობის სათავეში რადიკალური რეფორმა მოახდინა, დაარღვია ვერსალის ზავი, განდევნა ურიები სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროდან, განამტკიცა ქვეყნის ეკონომიკა, გადააქცია გერმანია მსოფლიოში უძლიერეს ქვეყნად. ახალი ხელისუფლების პირველ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა, შეექმნა ჯანსაღი, მტკიცე ოჯახი.

ჯანსაღი ოჯახის შესაქმნელად საჭირო იყო განთავისუფლებულიყო ქალი მძიმე, საქარხნო - საფაბრიკო შრომისაგან, ვინაიდან ქალს ჰყოფნის მზრუნველობდეს ოჯახს, ზრდიდეს ბავშვებს, უვლიდეს თავის კერას. მთელი რიგი სახელმწიფო ღონისძიებათა ურყევად გატარების შედეგად გერმანიაში ყველა პირობაა შექმნილი განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს ოჯახი.

გერმანიის მთავრობამ დაზგებიდან, საამქროებიდან კერას დაუბრუნა მილიონობით ახლგაზრდა ქალები, მისცა მათ დედის საამყო სახელწოდება. დიდია მთავრობის ზრუნვა ოჯახზე. ახალ დაქორწინებულთ ეძლევათ ფულადი დახმარება, რათა კარგად მოაწყონ ახალი ოჯახი. ოჯახიანებს პირველ რიგში ეთმობათ საუკეთესო ბინები, თვითეული წარმოება მუშას ხელფასის გარდა დამატებით აძლევს თანხებს ოჯახზე, ბავშვებზე. მრავალშვილიანი დედა სახელმწიფოსაგან ღებულობს ერთდროულ დახმარებას.

ამ დიდ ღონისძიებათა შედეგად განუწყვეტლივ იზრდება და ქორწინებათა და დაბადებულთა რაოდენობა. 1932 წელს გერმანიაში იყო დაქორწინების 517 ათასი შემთხვევა, 1937 წ.— 620 ათასი, 1933 წელს ახალდაბადებულთა რიცხვი უდრიდა 971 ათასს, 1937 წელს— 1 276 ათასს. ნაციონალ სოციალისტური პარტიის მოსვლიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში დაიბადა 1 200 ათასით მეტი ბავშვი ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო 1932 წლის მონაცემულობით. 1933 — 1937 წლებში სახელმწიფომ ახალ დაქორწინებულებზე გასცა დახმარება 455 მილიონი მარკის რაოდენობით.

ოჯახის ღირსება განმტკიცებულია მრავალი კანონით. ცოლიანი მუშა ნაკლებ საშემოსავლო გადასახადს იხდის ვიდრე უცოლო, ცოლიანი მუშა ღებულობს უფრო ხანგრძლივ შვებულებას. ამჟამად ომის პერიოდში იგი სავსებით თავისუფალია სამხედრო გადასახადისაგან.

სულ სხვა სურათია ბოლშევიკურ ჯოჯოხეთში. იუდა მარქსის მიმდევარნი ოჯახს არაფრად სთვლიან. კომუნისტები პრესაში, მიტინგებზე ეწეოდნენ თავდაუზოგველ აგიტაციას იმის შესახებ, რომ სოციალისტურ ქვეყანაში არ შეიძლება არსებობდეს რაიმე მისწრაფება რელიგიოზური და ნაციონალური ხასიათისა. მათ უარყვეს საეკლესიო წესით ქორწინება. შემოიღეს ეგრედწოდებული მმაჩი. რა არის მმაჩი? იგი არის დაკანონებული პროსტიტუცია. ბოლშევიკები ათასეულობით ახალგაზრდა ქალებს მიათრევდენ პროსტიტუციის ამ ბუდეში. ასეთი ქორწინების შედეგი იყო ცრემლი, თვითმკვლელობა, გადაგვარება, ათასეულობით უპატრონო ბავშვთა ბრბოები.

ქორწინება საბჭოთა კავშირში არ ემყარებოდა წმინდა გრძნობას, სიყვარულს, არამედ კარიერას, გამორჩენას, იძულებას, გახრწნილებას, გადაგვარებას. ოჯახისა და ქალის აბუჩად აგდება იყო განქორწინების კანონი. ამ კანონის შედეგი იყო რომ გახშირდა მრავალცოლიანობა. ყველასათვის ნათელია სასამართლოს პროცესები, რომლებზედაც არჩევდნენ ამზრენ საქმეებს მორალურად გახრწნილ ადამიანებისას.

საჭოთა კავშირმა, როგორც ამას კომუნისტები გაჰყვიროდნენ ხმის ჩახლეჩამდე, ქალი გაანთავისუფლა ოჯახის ულლისაგან, რათა გადაექცია იგი ქარხნის მუშად, ჩაეკეტა საამქროში, დაზგასთან. ოჯახის აბუჩად აგდებამ, მორალურმა გადაგვარებამ, გახრწნილებამ მოთმინებიდან გამოიყვანა ხალხი. „ხალხთა ბელადმა" სტალინმა ხალხის შესახედავად არა სწორად მიიჩნია საბჭოთა საოჯახო პოლიტიკა. როგორც იცით, კომუნისტებმა ბოლო ხანებში ამოათრიეს ტალახიდან სიტყვები „დედა" და „ოჯახი", დაიწყეს სპეკულაცია ამ სახელებით.

საბჭოთა ოჯახს, დედას ვერ უშველა ამ გარემოებამ. 1936 წელში ჩატარებულმა მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერამ ნათელჰყო ქორწინებათა შემცირება. მტულობდა სიკვდილიანობა. კომუნისტები სცემენ კანონს აბორტის აკრძალვისას, შემოიღებენ ალიმენტს, გაართულეს განქორწინების საქმე, მაგრამ ვერც ამან იხსნა საბჭოთა ოჯახი გახრწნა- გადაგვარებისაგან. ბოლშევიკური პრესა გაიძვერული ლოზუნგებით შეუდგა დაცემული გაპარტახებული ოჯახის ავტორიტეტის აღდგენას, მაგრამ ამაოდ.

ნაციონალ - სოციალისტურ გერმანიაში ქორწინება ღირსების საქმეა. იგი ემსახურება ახალგაზრდათა ჯანსაღ მისწრაფებას. ხელს უწყობს ახალი ოჯახის შექმნას, განმტკიცებას. „ქალში,— ამბობს გერმანიის ხალხის ბელადი დიდი ჰიტლერი,— ჩვენ ვხედავთ მუდმივ დედას ჩვენი ხალხისას, მამაკაცის თანამგზავრს მთელს ცხოვრებაში, მუშაობაში, ბრძოლაში". ჭეშმარიტად სარგებლობს ქალი, დედა გერმანიაში უდიდესი პატივისცემით. ურიცხვ ბაღებში, მოედნებზე თქვენ შეხვდებით ჯანსაღსა და აღფრთოვანებულ ბავშვებს; ასე აღფთოვანებულნი არიან მათი დედებიც.

ლეგ. ნ. ლ.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. ნ. მაღაურიძე
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28.

სტამბა: Deutscher Verlag, Berlin